№ 75 18 ივნისს, შაბათი 1866—1877 18 ივნისს, შაბათი № 75

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცხვრითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**„დროება“ — ქუთაისში**

ისყიდება სვიმონ ჩომახიძესთან, ზუბერწიის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირ-და-პირ.

**ერთი ნომრის ფასი — შაური**

გაზეთი მიიღება ქუთაისში საღამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც ტფილისში გამოდის.

# ტელეგრამმები

(ოფიციალური)

## ბრძოლის ველიდამ

**ოჩუმი,** 17 ივნისს. ილორიდამ და ფექვემიდამ ჩვენი ჯარები, 15-ამ თვეს, გადავიდნენ მდ. ღალიძგუზე. ამ დროს ზღვიდამ ოსმალებმა საშინელი ზარბაზნის სროლა შეჰქმნეს სამის ხომალდიდამ. თუმცა მტერი გაცხარებულად იბრძოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გავდევნეთ თავის ადგილიდამ ოჩამჩირის იქით. გაცხარებული ბრძოლა იყო: იერიშით უნდა აგვეღო სიმაგრეები და ციხეები. ამ შეტაკების დროს, კოდორის ორივე მხრის აფხაზებს გარდა, ჩვენ წინააღმდეგ იყვნენ რეგულიარული ჯარი ოსმალეთისა და ეგვიპტისა, რომელიც, შუა ბრძოლის დროს, სოხუმიდამ მოვიდა.

ჩვენი ჯარი ძალიან მარჯვეთ იყო. მტერმა დიდი ზიანი მიიღო; მთელი გზა ოჩამჩირამდინ იმათის გვამებით სავსეა.

ჩვენის მხრით 200 კაცზე მეტი არ არის დახოცილი და დაჭრილი.

**ხუც-უბანი,** 16 ივნისს. ამ თვის 12-ის შემდეგ ციხის-ძირში მტერი ახალ სიმაგრეებს აკეთებს და რაც ჩვენ გაუფუჭეთ, იმას აკეთებს. ციხიდამ მას აქეთ არც-ერთი თოფი, არც ყუმბარა არ გამოვარდნილა. მაგრამ ქობულეთლები არ გვასვენებენ, მუდამ გვესვრიან იმ სოფლებიდამაც, რომელნიც ამას წინათ დაგვემორჩილნენ; ამის გამო 30 ოჯახი ოზურგეთის უეზდში გადმოვასახლეთ.

თხრილებში და ტყეში ბევრი ოსმალოს სალდათების და ზოგი აფიცრების გვამები ჰყრია.

ტფილისისა და მოსკოვის წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელნი დიდ შემწეობას აძლევენ ჩვენ დაჭრილებსა და ავათმყოფებს.

—

**პეშტი,** 15 (27) ივნისს. დეპუტატების პალატის გუშინდელს სხდომაზე ვენგრიის მინისტრების პრეზიდენტმა კოლომან-ტიშამ სთქვა, რომ ავსტრო-ვენგრიის არმია სრულიად მზათ არის, რომ, პირველ ბრძანებისა-თანავე, ბრძოლის ველზე გავიდეს; მაგრამ იმპერატორის ფრანც-იოსების მმართებლობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ მშვიდობიანობა არ დაარღვიოს და ახლანდელ ბრძოლაში სხვა სახელმწიფოები არ გაერიონ.

**პეშტი,** 14 (26) ივნისს. პრეზიდენტმა ტიშამ სთქვა დეპუტატების პალატაში, რომ ავსტრო-ვენგრია სრულიადაც არ ამზადებს ჯარს ომისათვის და აზრათაც არა აქვს, რომ რომელიმე უცხო ქვეყანა დაიჭიროს თავის ჯარებით. მაგრამ ჩვენი მმართებლობა არც სხვა რომელსამე სახელმწიფოს მისცემს ნებას, რომ ეს პროვინციები დაიპყროს.

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

არზრუმელი კორრესპონდენტი ინგლისურის გაზეთის „Daily News“-ისა იწერება 2 (14) ივნისს ამ ქალაქიდამ, რომ მუხთარ-ფაშა თავის მთავარი ჯარით ჯერ კიდევ ზევინში არის დაბანაკებულიო; მაგრამ ტრაპიზონიდამ ოც-და-ათი ბატალიონი ახალი ჯარი მოდის და როგორც ეს ჯარი ზევინში მოვა, მუხთარს განზრახვა აქვსო, რომ პირ-და-პირ საჩქაროთ გამოსწიოს ყარსის მოსაშველებლადაო. ამ დროსვე არზრუმსაც, რაც კი შეუძლიანთ, ძალიან ამაგრებენ ოსმალებიო.

ამავე ცნობას იწერებიან სხვა უცხო ქვეყნის გაზეთებშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მუხთარ-ფაშა, 30 ბატალიონს კი არა, მარტო ცხრა ბათალიონს, რამდენიმე ასს ცხენოსანს ჯარს და 350 კაცს პოლშელების ლეგიონს მოელისო.

—

„რეიტერის აგენტობაში დაბეჭდილია სტამბოლიდამ და არზრუმიდამ მიღებული რამდენიმე დეპეშა; ამ დეპეშებს, როგორც ოსმალეთის წყაროებიდამ მიღებულს, რასაკვირველია, სიფთხილით უნდა ვერწმუნოთ.

„**ს ტ ა მ ბ ო ლ ი,** 5 (17) ივნისს. მუხთარ-ფაშისაგან მოვიდა აქ შემდეგი დეპეშა: გუშინ ალაშქერთის დივიზია წავიდა თახირის ახლო-მახლო ადგილების დასახედავათ. დივიზიას სამი რუსის კალონა დახვდა გზაზე; შეიქნა სროლა და რუსების ჯარს ბევრი ზიანი მიეცა. ამ შეტაკების დროს მოჰკლეს ჩვენი დივიზიის უფროსი მეჰმედ-ფაშა, რომლის ადგილიც იმ წამსვე მუსტაფა-ჯავით-ფაშამ დაიჭირა, და შემდეგ ჩვენი ჯარი ისევ თავის ბანაკში დაბრუნდა.

„**ა რ ზ რ უ მ ი,** 2 (14) ივნისს. რუსებმა გამართეს რამდენიმე ახალი ბატარეია და ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მოადგნენ ყარსის სიმაგრეს იერიშით. მაგრამ ყარსიდამ გამოსულმა ჯარმა უკუაქცია რუსის ჯარები და ციხეებიდამ დაშენილმა ყუმბარებმა დაუქციეს ყველა ბატარეები, რომელიც გასულ ღამეებში გაეკეთებინათ. დღეს მოიტანეს აქ ტრაპიზონიდამ 15 დიდი ზარბაზანი კრუპის სისტემისა.

„გუშინ მოვიდა აქ აგრეთვე ტრაპიზონიდამ შამილის შვილი 30 ცხენოსანის და 250 ქვევითა კაცით, და ამის მოსვლამ ტრაპიზონში დიდი მღელვარება და აღტაცება მოახდინა.

„**ს ტ ა მ ბ ო ლ ი,** 4 (16) ივნისს. ბათუმის კამენდანტისაგან დეპეშა მოვიდა, რომ 2 ივნისს ორი როტით ქვევითა ჯარით და 300 ცხენოსანი კაცით დასცემია ის სამებასთან დაბანაკებულ რუსის ჯარს, დაუმარცხებია, 150 კაცი მოუკლავს მტრისთვის, ამათში ერთი აფიცერი და წაურ-

თმევია ბევრი სურსათი, თოფი და წამალი; ერთიც ტყვედ წაუყვანია."

---

არზრუმიდამვე ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ქალაქში მყოფს სპარსეთის ელჩს თავის მმართებლობისაგან ბრძანება მოუვიდაო, რომ არზრუმში მცხოვრებთ სპარსეთის ქვეშევრდომთ გამოუცხადოს, რომ გადავესახლონ აქედამ, რადგან მალე რუსის ჯარს უნდა მოელოდეთო.

---

ნემეცურს გაზეთს „Neue Frei Presse"-ში დაბეჭდილია არზრუმიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც უფრო დაწვრილებით ამბებს გვაცნობებს ზეიდექანთან ბრძოლის თაობაზე:

„ოსმალების მხრით ბრძოლის ველზე 12,000 კაცი იყო. ბრძოლა დაიწყო გათენებისას და ნაშუადღევის 2 საათამდინ სროლა არ შეწყვეტილა. ოსმალოები დამარცხებული იქმნენ; იმათის მხრით 600 კაცია დახოცილი; დანარჩენ ჯარმა დელი-ბაბასკენ დაიწია. ამ ბრძოლის დროს ინგლისის ღენერალი ქემბალი შუა ჯარში მოხვდა და კინალამ რუსის ყაზახებმა ტყვეთ არ წაიყვანეს, ძლივს გაქცევა მოასწრო."

---

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

[illegible], რაც ტელეგრამმებში არ წაიკითხეთ, ჯერ სხვა არავითარი ამბავი აქ არ მოსულა. რადგან რუსის ჯარსა გზა გაუკვლევია დუნაიზე, ახლა მომეტებული ნაწილი არმიისა, უეჭველია, ამ მოკლე ხანში გადავა მდინარეზე და შემდეგ სილისტრიის, რუსჩუკის, ვარნის, შუმლის და სხვა ოსმალეთის (ბოლგარიის) ციხეების აღებას შეუდგებიან. ეს საქმე ერთობ მძიმეა და ცოტა დროსა და მხნეობას როდი მოითხოვს რუსის არმიისაგან.

---

რუსულ გაზეთს „პეტერბურღის უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც 10 ივნისს მიუღია რედაქციას ყირიმიდამ:

„იალტის მახლობლად, შავ ზღვაში, გამოჩნდა 5 ნავი ოსმალოებისა; ერთი ამათგანი დანარჩენ ოთხს მოშორდა და ნაპირს მოუახლოვდა. ყარაულად დაყენებულმა ჩვენმა პატარა ხომალდმა გასწია იმწამსვე ნაპირიდამ და სანამ ოსმალოს ნავი შუა ზღვაში გასვლას მოასწრობდა, დაეწია და დაიჭირა. ნავზე თორმეტი ოსმალო იყო; იმათ უნახეს პროკლამაციები, რომელიც ყირიმის მაჰმადიანების ასაჯანყებლად უნდა დაერიგებინათ, რომ გარსულიყვნენ ნაპირზე. ყველა ტყვეები სიმფეროპოლში გაგზავნეს."

---

ოსმალოს არმიის მთავარ-სარდლად დუნაიზედ არის აბდულ-ქერიმ-ფაშა, შუმლის კორპუსის სარდლად—აჰმედ-მიუბ-ფაშა, ფაზლი-ფაშა ამის თანაშემწედ, რუსჩუკის კორპუსის—თახირ-ფაშა, ვარნის—ხაჯი-რედშიდ-ფაშა (ეგვიპტეს), სილისტრიის—სელიმ-ფაშა, ვიდინიას—ოსმან-ფაშა და ნიკოპოლის—ფევზი-ფაშა.

---

ლონდონის გაზეთს „Daily News"-ში დაბეჭდილია ტელეგრამმა გალაციდამ 30 მაისს მიღებული:

„ამას წინათ გწერდით, რომ რუსის სალდათები გაცხარებით მუშაობდნენ აქ და დუნაიზე გასადგმელ ხიდისათვის პარომებს აკეთებენ-მეთქი. ეს პარომები ახლა სრულიად მზათ არის და ცეცხლის გემის საშუალებით ბრაილოვში მიიტანეს.

„ეს გარემოება ცხადათ გვიჩვენებს საფუძვლიანობას და სიმართლეს იმ ხმისას, რომელიც გავრცელებულია აქ, რომ რუსებს განზრახვა აქვთ გეჯეტთან, ბრაილოვის ქვემოთ, მაჩინის პირ-და-პირ გადავიდნენ დუნაიზე. (მკითხველმა იცის, რომ ეს ხმა გამართლდა). მას აქეთ, რაც რუსებმა აფეთქეს მეორე მონიტორი ოსმალებისა, იმათი ხომალდები აქეთკენ აღარ მოდიან."

---

გაზეთს „Standard"-ში იწერებიან ბუხარესტიდამ (რუმინიის სატახტო ქალაქიდამ), რომ 2 ივნისს რუსის სამხედრო მთავრობამ ბრძანება გამოსცაო, რომ იმათის ჯარის მდგომარეობაზე და განზრახვაზედ ყოველგვარი ამბის გზავნა წიგნითა და დეპეშით აკრძალული არისო. მაგრამ ოსმალოებმა, როგორც ეტყობათ, უამისოთაც ძალიან კარგათ იციანო ყოველი მოძრაობა რუსის ჯარისა და საცა კი გადავლენ, იქ მზათ დახვდებიანო. ეს სიტყვები კორრესპონდენტისა როგორღაც ვერ გამართლდა, რადგან ბრაილოვთან ისე გადავიდნენ უკვე რუსები და მაჩინი ისე აიღეს, რომ ოსმალოებმა რიგიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

---

პლოეშტიდამ ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ აქ, რუსის არმიის მთავარ კვარტირაში, 20 შპიონი დაიჭირესო, რომელნიც რუსის ჯარის ამბავს ჰკრეფდნენ და ოსმალოებს ატყობინებდნენო. ეს შპიონები უცხო ქვეყნელები იყვნენო.

---

„კელნის გაზეთის" კორრესპონდენტი იწერება ბუხარესტიდამ, რომ მთელი ქალაქი ახლა აქ შპიონებზე ლაპარაკობსო. ამას წინათ პლოეშტში დაიჭირეს ერთი ნემეცი ცრუ-როტმისტრი კრაუტი; ამ დღეებში ორი სხვა აგრეთვე ნემეცის ვაჭრები დაატუსაღეს, რომელთაც რუსის ჯარის ამბავი მიჰქონდათ თურმე ოსმალოს ბანაკშიო.

„ტელეგრამმებს აქაურ სტანციაზე დიდ ყურადღებას აქცევენ; ჩინოვნიკი [illegible] ცალკე, რომელმანც ყოველი დეპეშა უნდა განიხილოს და ნებართვა უნდა მისცეს.

---

# საქართველო

## დღიური

*** სოფ. ხუფრო ანუ ხუფროს-ხევი, სადაც, როგორც წასულ ნომერში დაბეჭდილს დეპეშამ გვაცნობა, ჩვენმა კამანდას შეტაკება ჰქონია ლეკებთან, ყვარლიდამ სამი-ოთხი ვერსის სიშორეზედ არის, იმ მთის გვერდზედ, რომელიც ყვარელ გადმოსჩერებია და ამ სოფელს ლეკებისაგან საზღვრავს.

*** გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ ლოტოს მოთამაშე ქალებს გადაუწყვეტიათ, რომ ყოველ მოგებაზე აბაზი გადასდვან დაჭრილთ და ავათმყოფ მეომართა სასარგებლოდ. „სულ არაიზბას, ესეც სჯობიანო!" გვეუბნება ამაზე ჩვენი გორელი კორრესპონდენტი.

*** ჩვენ გვწერენ, რომ ვაზიანის მახლობლად ზოგიერთ კახეთის სოფლებში დიდ-ძალი კალია გაჩენილა და კაცი არ არის, რომ ამ საშინელ მოვლენას ყური ათხოვოსო.

*** ჩვენი მწიგნობრობის შესახებ კიდევ ახალი ამბავი:

— უფ. ი. გოგებაშვილი თავის „ქართულის ანბანის" ახალ გამოცემას შეუდგა; ეს წიგნი უფ. სტ. მელიქიშვილის სტამბაში იბეჭდება, მეცხრე გამოცემა და როგორც გვითხრეს, მეოც-და-მეთექვსმეტე ათასი, და ამ დღეებში გამოვა გასასყიდლათაო.

— უფ. ს. მდივანოვმა უკვე გამოსცა თავის ანბანი, რომელიც, როგორც წარსულ წლებში, ახლაც სავსეა მხოლოთ ლოცვებითა და სამღვთო წერილითა.

ვისაც ქართული ანბანის ყიდვა ჰსურს, ჩვენ ურჩევთ ცოტა მოუცადოს გოგებაშვილის ანბანის გამოსვლას და მდივანოვის უხეირო, უსისტემო და უმეთოდო ანბანის ყიდვაში ტყუილად ფულს ნუ დახარჯავს.

— ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნათ კატალოგი (სია) საერო და სასულიერო ქართული წიგნებისა. ჩვენ არ ვიცით—ვინ ადგენს ამ კატალოგს; არ ვიცით—მარტო ახალი ქართული წიგნები იქნება ამ კატალოგში მოხსენებული, თუ ძველიც. მაგრამ ვინც უნდა იყოს, კარგი საქმე უკისრნია და ვისურვოთ, რომ კარგათ, თავიანათ შეესრულებინოს.

# უცხო ქვეყნები

## ავსტრო-ვენგრია

თუმც ბევრს იწერებოდნენ გაზეთებში, რომ ავსტრია ჯარს არ ამზადებსო; მაგრამ ახლა გამოვიდა ამ სახელმწიფოს ოფიციალური განკარგულება, რომლის ძალითაც ფეხზე უნდა დადგეს ორი კორპუსი და სერბიისა და ჰერცოგოვინის სამზღვრებზე უნდა იყოს დაბანაკებული. ამ ჯარების უფროსად დანიშნულია ღენერლები მოლინარი და როდიჩი.

## საბერძნეთი

ათინიდამ მოვიდა ამბავი, რომ იქაურ პალატას გრდაუწყვეტია, რომ ყოველ შემთხვევისათვის უნდა დამზადდეს საომრად 36,000 ქვეითა ჯარი და 60 ბატარეია არტილერია.

# წერილი

უფ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთისა და საზოგადოთ ბეჭდვის საშუალებით არა-ერთხელ მისცემია ჩვენს ხალხს უსამართლოებისა და თვით-მნებელობისაგან შემსუბუქება, და ამ იმედით მოგმართავთ მეც და გთხოვთ, რომ ქვემომოყვანილს ნამდვილ გარემოებას თქვენს პატივცემულ გაზეთში მცირეოდენი ადგილი დაუთმოთ. საქმე აი რასში მდგომარეობს:

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი დიდის ხნის განმავლობაში შევიწროებული იყო უსაშუალობისა, და უფულობის გამო, და თუ დეკანოზს ს. ჭიქოძეს არ გაემართა ამ სასწავლებლისათვის ხელი, უეჭველია, ის ამ 4 წლის წინათ უნდა დაეკეტნათ, რადგან ისე იაფად, როგორც მ. დეკანოზმა მიაქირავა, არავის არ უნდოდა ოზურგეთში მიექირავებინა სახლი ამ სასწავლებლისათვის.

მაგრამ გავიდა ოთხი წელიწადი და დეკანოზს ს. ჭიქოძეს დღესაც ვერ მიუღია ადგილობრივი სასულიერო მთავრობისაგან ის 1,000 მანეთი, რომელიც ამ ოთხის წლის განმავლობაში სასწავლებლის სახლის ქირა შესდგა; თუმც უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ რამდენიმე მიწერილობა გაუგზავნა ამის თაობაზე ადგილობრივს, მაგრამ ბლაღოჩინებს ვერ შემოატანინეს შკოლისათვის მოგროვილი ფული.

ამასთანავე უნდა გაცნობოთ, რომ ერთს აწინდელ გურულ ბლაღოჩინს მ. ღუმბაძეს ხ უ თ ი ა თ ა ს ი მანეთიდამ, შკოლის ფულიდამ, ს ა მ ი ა თ ა ს ი მანეთი თავის კერძო საჭიროებისათვის დაუხარჯავს. ეს გარემოება იცის ყოვლად-სამღვდელოებამ, რომელმანც მკაცრი ღონის-ძიება მიიღო ამ ფულების ამოსაგებად.

ამ ნაირად, თუ სასულიერო მთავრობამ რაიმე საშუალება არ იხმარა, მოსალოდნელია, რომ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი დაიხურება სახლის ქირის მიუცემლობის გამო რადგან მ. ს. ჭიქოძე მუქთად სახლს ვერ მისცემს და სხვა ასეთი მოთავსებული და თან იაფი სახლი შკოლისათვის ოზურგეთში არ მოიპოვება.

ეს საგანი ღირსია, უფ. რედაქტორო, რომ გამოაშკარავებულ იყვეს.

# საგაასო

## სამწუხარო მოვლენა პედაგოღიაში

(პასუხი უ. ნათიევს *)

ვისაც კი ცოტა-ოდენი მოაზრება აქვს, ვისაც კი ცოტაოდენათ ესმის ბავშვის გონების გახსნის კანონი, იგი ადვილათ მიხვდება, რომ ამ გვარათ პირველ დაწყებითი სწავლის წაყვანა ბუნების წინააღმდეგია და ბავშვებს, გინდ ისინი გენიოსებიც იყვნენ ბუნებით, ტვინი უნდა გაუწყალოს და გონება დაუსახიჩროს. მეორე მხრით ცხადია, რომ კაცი ამ გვარ სისტემას სწავლისასა მხოლოდ მაშინ მოჰკიდებს ხელსა, როცა მას სურს, რომ ქართული მარტო გარეგნულ გულისათვის, თვალის ასაბმელათ ასწავლოს და ნამდვილად კი დაუმალოს ფესვების გადგმას ბავშვის ბუნებაში.

ზანა შვიდი-რვა წლის ბავშვს შეუძლია დედა-ენას გულის-ყური საკმაოთ დაუდოს, როდესაც ამავე დროს ხუთს სხვა საგანს მას სტენენ გონებაში და ყოველ ნაბიჯზედ აგრძნობინებენ, რომ ეს საგნები არიან უმთავრესნი და უსაჭიროესნი და დედა-ენა კი მარქაფაა რომელიც ბავშვმა შეიძლება სრულიადაც არ იცოდეს?

ამ გვარი სისტემის მავნებლობა იმითი არა თავდება, რომ შეუძლებლათა ხდის დედა-ენამ ფესვები მოიკიდოს და გაიდგას ბავშვის გონებაში, იგი სხვა საგნების შეთვისებასაცა უშლის. უ. ნათიევი; რასაკვირველია, სხვა ჰზრისაა ამ საგანზედ; იგი თამამათ ამბობს, რომ ჩემ მოწაფეებს რვა თვის განმავლობაში ყველა ზემოხსენებული საგნები შევასწავლეო. ქართული იმდენათ იციან, რომ არამც თუ „დედა-ენა“ ჩააბულბულეს, „ბუნების კარშიაც“ კი გადატოპეს, კითხულობენ და არჩევენ ლოღიკურათ და გრამმატიკულათაო, რუსულ წერა-კითხვა ისწავლეს, რუსული ენა ესმით და რუსულ სიმღერებსაც გალობენო.

გენიოსი პედაღოღები: პესტალოცი და დისტერვეგი მთელი წლის განმავლობაში ძლივს ახერხებდნენ სამშობლო წერა-კითხვის გონივრათ სწავლებასა, და უ. ნათიევი კი გვარწმუნებს, რომ რვა თვის განმავლობაში მთელი ექვსი საგანი შევათვისებინე ბავშვებსა და ექვსჯერ მომეტებული მოვასწარი, — მხოლოდ თვით გენიოსი პედაღოღები ასწრობდნენო! კაცმა ისეთი ტყუილი უნდა სთქვას, რომ ცოტა მართალს მაინცა გავდეს. საქმე, სინამდვილე სრულიად წინააღმდეგ ამისას ლაპარაკობს.

ქართული წერა-კითხვა უ. ნათიევის მოწაფეებმა ჩათვლითაც არ იციან ხეირიანათ; რუსულშიაც ამაზედ წინ არ წასულან; რუსული ენის ცოდნა რამდენიმე სიტყვის და ფრაზების მეხანიკური დახსომებით თავდება, — რაც შეეხება რუსული სიმღერების გალობას, მკითხველი თვითონ ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა სასაცილო და მასთან სამტირალო მოვლენა უნდა იყოს, როდესაც რვა წლის ქართველ ბავშვსა, რომელსაც რუსული არ ესმის, აბღავლებენ რუსულ ლექსებსა, რომელთა გაგება რუსულის მცოდნე ქართველებსა, კი უძნელდებათ. თუ გონების გახსნას იკითხავთ, ვისაც კი ეს მოწაფეები უნახავთ, ამბობენ, რომ ახლავე ცხადათ ეტყობათ რაღაც დარეტიანება და ტვინის გაფანტულობაო. ზემოხსენებულით ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდა ვსთქვათ, რომ რუსული წერა-კითხვის, რუსული ენის სწავლება საჭირო არ არისო. ამ საჭიროებას ყველა გრძნობს, ყველას ესმის იგი და ყველასა სურს, რომ მისმა შვილებმა საფუძვლიანათ შეისწავლოს რუსული ენა. ჩვენ მხოლოდ ის ჰაზრი გვინდა გამოვარკვიოთ, რომ უდროოთ დაწყება რუსულისა ბავშვების წარმატებას უშლის ქართულშიაც, რუსულშიაც, სხვა საგნებშიაც და გონების გახსნისათვისაც მეტათ მავნებელია. ესეც ელემენტარული პედაღოღიური კანონია, მაგრამ ეტყობა, რომ უ. ნათიევს, რომელიც ასე გულადათ ჩემობს პედაღოღობას, პედაღოღიისათვის მხოლოდ უსუნებია. ჩვენ არც პედაღოღიის ზალდში გამოვზდილვართ, არც პედაღოღიური სახელმძღვანელოები გვიზეპირნია, მაგრამ სწორე, ჭეშმარიტი გზა კი კარგათ ვიცით ბავშვის სწავლებისა. ეს გზა ჩვენ გვსურს გააცნოთ მკითხველის ორიოდე სიტყვით

პირველი ექვსი თვის განმავლობაში ქართულის მეტს არა საგანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი შკოლაში.

ბავშვის ნორჩი გონება მხოლოდ ამ საგანზედ უნდა იყოს მოქცეული. ექვსი თვის შემდეგ, როცა ბავშვები გაიმართებიან ქართულს წერა-კითხვაში და სხვა და სხვა ელემენტარული ვარჯიშობით, რასაკვირველია ქართულსავე ენაზედ, გონებაც გაეღვიძებათ, მასწავლებელმა უნდა მიჰყოს ხელი რუსული ენის სწავლებასა სურათების შემწეობით. რასაკვირველია ამ დროს ქართული თავის რიგზედ უნდა მიდიოდეს. როცა სამიოდე თვის ვარჯიშობით ბავშვები დაისწავლიან საკმაოდ რუსულ სიტყვებსა და მათგან პატარ-პატარა ფრაზების შედგენასაც შეიძლებენ, მაშინ მასწავლებელი უნდა შეუდგეს რუსული წერა-კითხვის სწავლასა. ეს უნდა მოხდეს მეორის წლის დამდეგს და არა ადრე; ამაზედ ადრე რუსული წერა-კითხვის დაწყება ბავშვს ძალიან გაუძნელ-

*) „დროება“ № 74

დება ქართულის სწავლას დაუშლის და მიაჩვევს მოწაფეებს უგუნურს, თუთიყუშურს კითხვას, რადგანაც მათ რუსული ჯერ არ ეცოდინებათ.

რაც შეეხება რუსული სიმღერების გალობას, მათი შეტანა სწავლაში მეოთხე წელიწადზედ ადრე მტენარი უგუნურება იქნება; რუსული ლექსების აზრის გაგება მხოლოდ მაშინ შეუძლიან ბავშვსა, როდესაც იგი კარგა დაახლოვებით გაიცნობს რუსულს ენასა და ამგვარი გაცნობისათვის, სამი წელიწადი მიუცილებლად საჭიროა ბავშვებისათვის. საგნების სწავლაც ამ სამს წელიწადს დედა-ენიზედ უნდა იყოს; ამ უკანასკნელი მოთხოვნილების ასრულება საჭიროა მიტომ, რომ უმისოთ დედა-ენის ხმარებას ვერ მიეჩვევიან ბავშვები, საგნებსაც გაგებით ვერ შეითვისებენ, რადგანაც რუსული ენა ჯერ მათ ნაკლებათ იციან. ასე მიდის ყველგან პირველ-დაწყებითი სწავლა და ჩვენშიაც ასე უნდა წავიდეს—მხოლოდ ჭკუა-მოკლე კაცი იფიქრებს, რომ ამ გზით რუსულს ბავშვები გვარიანათ ვერ შეისწავლიანო; ბავშვი, რომელსაც გონება გაღვიძებია სწორე, წალმართი სწავლით, რუსულს ენას ოთხჯერ უფრო ადვილად და საფუძვლიანათ შეისწავლის, მინემ ის ბავშვი, რომელსაც გონება დასუსტებია და დაბნევია უდრო-უდროთ უცხო ენის სწავლებითა. ეს დაწყობილება სწავლისა ეთანხმება ბავშვის ბუნებასა და ამიტომ მეტათ უადვილებს მას დედა-ენის სწავლასაცა, რუსულის შეთვისებასაცა და მის გონებასა აყენებს ჭეშმარიტს გახსნის გზაზედ. ამიტომაც ვერ მოძებნით დედა-მიწის ზურგზედ პედაგოგსა, რომ ამ გზას ის უქცევდეს და ღალატობდეს; მარტოკა ჩვენ მხარეში ვხედავთ უგზო-უკვლო სწავლასა, ღალატსა ჩვენი ვითომც სპეციალურათ ნასწავლი პედაგოგებისაგან.

უ. ნათიევი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ამ ღალატს კარგი ნაყოფი მოაქვსო, ის გაბედვით ამბობს, რომ ვისაც ეს არა გჯერათ, მობძანდით ჩემს შკოლაში და დარწმუნდით თქვენი თვალითაო.

ჩვენ ეს სიტყვები გვაგონებენ ერთს ანალოგიურ შემთხვევასა: რამდენიმე წლის წინათ ჩვენში გავრცელდა ხმა, რომ ერთი საზოგადოების შკოლებში, სადაცა სუფევდა ისივე წესი სწავლისა, რომელსაც ფესვებს უდგამს უ. ნათიევი გორის პროსემინარიაში, სწავლა მეტათ უკუღმართად მიდის და ბავშვები გონებით მახინჯდებიანო. ამ შკოლების ზედამხედველმა თავი გამოიდო და ამტკიცებდა, რომ ჩემ შკოლებში სწავლა ჩინებულათ მიდისო; თუ არ გჯერათ, გამოიძიეთო. გამოძიების დროს აღმოჩნდა რომ ბავშვები კაჭკაჭებსავით კითხულობდნენ ათასჯერ გაკბილულ სტრიქონებსა და ზეპირათ ამბობდნენ უაზროთ გაზეპირებულ სტატიებსა; ამ გვარი სწავლა გამომძიებლებმა მოიგონეს. მასწავლებლებს ერგოთ მადლობა და საჩუქრები და ზედამხედველს ჯილდო. მაგრამ ერთმა გარემოებამ ამ მხიარულებას და გამარჯვებას თავს ლაფი დაასხა: თვით უკეთური მოწაფეები ამ შკოლებისა, როცა საქალაქო სასწავლებლებში შევიდნენ, გამოდგნენ გონებით დახშულნი, დასუსტებულნი, ტვინ გაწყალებული და ყველანი დარიცხული იქმნენ უნიჭობის გამო. ეს საშინელი შედეგი მოიტანეს შკოლებმა, რომლებიც იმითი მაინცა სჯობდნენ ნათიევის პროსემინარიასა, რომ მათში ადგილი არა ჰქონდა ნათიურს ანბანსა. მაშ ამ პროსემინარიიდგან ხომ უფრო უარესს უნდა მოველოდეთ. მართალია უ. ნათიევი წინაალმდეგს ამტკიცებს, მაგრამ ვინცკი ცოტაოდნათ დააკვირდება მის სისტემას სწავლისასა, იგი იტყვის: ძაღლისაგან ბატკანი ვის უნახამს და ეკალზედ მოსული ვაშლი, რომ ნათიევის უკუღმართმა მოქმედებამ წალმართი ნაყოფი გამოიცესო!?

(დასასრული შემდეგ №-ში)

# ნარევი

რუსეთის სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ „მმართებლობის მოამბეში" და აგრეთვე რუსეთის გუბერნიების ყველა ოფიციალურ გაზეთებში მუდამ თვე დაიბეჭდებაო სია იმ სალდათებისა, რომელნიც, ამ ომის დროს, დაჭრილობისა ან ავათმყოფობის გამო დაიხოცებიანო.

*
* *

წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის (დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების სასარგებლოდ) ომიანობის განცხადების შემდეგ, სულ შეკრებილა რუსეთში კერძოთ შემოწირული ფული 5, 160 305 მანეთი. ამას გარდა ამავე საგნისათვის სხვა და სხვა ქალაქებსა, უწყებებსა და კერძო პირებს აღუთქვამთ, რომ რაც 3,800 ლოგინის შენახვას მოუნდება ამ ომიანობის დროს, ჩვენ ვკისრულობთო (ე. ი. საწოლს, საცვალს, წამალს, ექიმს და სხვა.)

*
* *

ერთს რუსის ქალს ოკუნკოვისას გასულ თვეში ექიმობის ეგზამენი დაუჭერია პარიჟის მედიცინის შკოლაში და დოქტორის ხარისხი მიულია. ფრანცუზული გაზეთები აქებენ ამ ქალის ცოდნას და ამბობენ, რომ თუ ამან განაგრძო თავის საგნების შესწავლაო, მეცნიერებას დიდ სარგებლობას მიუტანსო.

# განცხადებანი

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანაც იცის ბუხდალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების" რედაქციაში.

| რკ. გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| | | | ღამე | | | | | |
| ყვირილა. . | 1 | 18 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალქ.—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 266 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 208 | |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საახ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 17 ივნისს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 25 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 80 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 7 | — |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 70 |
| მატყლი თუშური ფთ . | 3 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 2 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 5 | 50 |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 7 | 72 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Іюня 1877 г. Типографія Меликова.* გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი